



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ლ87. 8723345001

თარიღი:11/12/2023

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რიგგარეშე სხდომის ოქმი № 16**

ქ. ახმეტა 8 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ს დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, ლია ვალაშვილი, გ. ქიბროწაშვილი, თ.ბორჩაშვილი, გ.შაშიაშვილი, გ. მამუჩარაშვილი, კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი, რ.გახუაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, ე.ბაღაკაშვილი, ზ.ფიცხელაური, გ.ონიაშვილი, დ.ავაზაშვილი, თ.მოზაიძე, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგი**

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

სხდომას ესწრება 19 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო 3 - თ.მოზაიძე, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

დადგენილების მიზანია მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ადგილობრივი ბიუჯეტის შიდა პარამეტრების ცვლილებების ასახვა.

**ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:**

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების ასახვა და დამტკიცება.

**შემოსულობები:** შემოსავლების ოდენობა გაიზარდა 104,8 ათასი ლარით. მათ შორის:

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით გამოყოფილი თანხა შემცირდა 8,3 ათ. ლარით.

**ადგილობრივი ბიუჯეტით შემოსავლების ოდენობა გაიზარდა 113,1 ათასი ლარით. მ.შ :**

- 1. ბანკის პროცენტიდან შემოსავალი - 73,1 ათასი ლარი;
- 2. სანქციები, ჯარიმები და საურავები - 40,0 ათ. ლარი;

**საგასავლო ნაწილი:**

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით გამოყოფილი თანხა შემცირდა შემდეგი ობიექტების მიხედვით:

- 1. სოფ. ახშნის ველებში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 0,5 ათ. ლარი
- 2. ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე სტადიონთან მრავალბინიანი კორპუსების ეზოს რეაბილიტაცია -3,1
- 3. ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ე. წ. ალვის დასახვევში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია -1,8
- 4. ქ. ახმეტაში ვაჟა ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია - 1,1 ათ. ლარი
- 5. სოფ. ბირკიანში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 0,9
- 6. სოფ. დუმასტურში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 0,9

**ზრდა ადგილობრივი ბიუჯეტით:**

- 1. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - შრომის ანაზღაურების მუხლში დაემატა 4,4 ათ. ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი - გადმოტანილია ვეტერანთა დახმარების ხარჯებიდან)
- 2. ა(ა)იპ ტყე-პარკები (სუბსიდია) - 10,0 ათ. ლარი;
- 3. ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი - (სუბსიდია) - 0,5 ათ. ლარი;
- 4. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 103,0 ათ. ლარი. მათ შორის:
  - სუბსიდია - 3,0 ათ. ლარი ააიპ “ორბელიანი საქართველო“-ს მიერ გამოცხადებულ იდეების კონკურსში გამარჯვებულის თანადაფინანსება.,
  - საქონელი და მომსახურება - 100,0 ათ. ლარი - საახალწლო ღონისძიებისთვის
- 5. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრი - არაფინანსური აქტივების ზრდა - 15,0 ათ. ლარი - ორი გათბობის ქვების (დიდი სიმძლავრის) შესაძენად;
- 6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - არაფინანსური აქტივების ზრდა - 8,0 ათ. ლარი - თანადაფინანსება;

**სულ ზრდა: 140,9 ათ. ლარი**

**კლება:**

- 1. მერია - სოციალური უზრუნველყოფა - 10,0 ათ. ლარი
- 2. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (არაფინანსური აქტივების ზრდა) - 7,4 ათ.

ლარი;

3. მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები - 6,0 ათ. ლარი;

4. ვეტერანთა სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯები - (მიზნობრივი ტრანსფერი) - სოც. უზრუნველყოფის მუხლი - 4,4 ათ. ლარი;

**სულ კლება 27,8 ათასი ლარი**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.**

**სხდომას ესწრება 19 - საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 16**

**წინააღმდეგი - 2- თ.მოზაიძე, შ.ტერტერაშვილი  
მონაწილეობა არ მიიღო 1 - კ.მუხაური.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 27 „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

საკრებულოს სხდომა დაიხურა 11:25 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

